ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3232443

ნომერი: AR1496750

თარიღი : 19.04.2017

გაცემის თარიღი : 05.05.2017

გაცნობის თარიღი : 05.05.2017

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი რუსთაველი , N 16 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ალექსანდრე ნარსია პ/ნ 19001033601
- ზუგდიდი ერევნის ქ. N 34

ორგანიზაცია:
- შპს "შემოქმედებითი ცენტრი ერისიონი" კოდი: 205214258

ნომენკლატურა :

- სარეაბილიტაციო სამუშაოები (დაზვერვა, გაწმენდა, კონსერვაცია, რეკონსტრუქცია, რესტავრაცია, ადაპტაცია, უძრავი ძეგლის ცვლილება)
- II კლასი
- შეთანხმებული პროექტის ცვლილება
- მშენებლობის ნებართვა

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ალექსანდრე ნარსია
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 19001033601

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 2814134

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 6.09.2016

.კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის არქიტექტურული პროექტი:

- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: თამარ ითაშვილი

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში წარმოდგენილ თქვენს განაცხადთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ განცხადება და თანდართული დოკუმენტები განიხილა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილმა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭომ (ოქმი N16, 20.04.17წ.), რომლის დასკვნის საფუძველზეც მიეცა დადებითი რეკომენდაცია ქ. თბილისში, შოთა რუსთაველის გამზ. N16-ში (ძეგლი) არსებულ შენობაზე სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარების პროექტის შეთანხმებისა და ნებართვის გაცემის საკითხს შემდეგი რეკომენდაციის გათვალისწინებით: პროექტში ჩაიდოს დარბაზის ჭერის შენარჩუნება-კონსერვაციის მეთოდოლოგია.

ამასთან, წარმოდგენილ საპროექტო დოკუმენტაციის განხილვის შედეგად გაცნობებთ: თქვენი მოთხოვნა ეხება 06/09/2016წ. N2814134 ბრძანებით შეთანხმებული დოკუმენტაციის კორექტირებას, ამასთანავე მოთხოვნის ტექსტში აღნიშნულია, რომ "ცვლილება შეეხო ამ ეტაპზე მხოლოდ კონსტრუქციულ ნაწილს". ატვირთული დოკუმენტაციის საფუძველზე არ ირკვევა შეთანხმებული პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების რა ნაწილია დასრულებული, და თუ ისეთი სამუშაოები, როგორიცაა გამაგრების სამუშაოები, არ დასრულებულა, არის თუ არა ამ სამუშაოების დასრულება გათვალისწინებული პროექტის კორექტირებისას. ამასთან, იმ შემთხვევაში, თუ სამუშაოების ჩატარება დაგეგმილია ეტაპობრივად, საპროექტო დოკუმენტაციაში სრულფასოვნად უნდა იყოს განმარტებული და ასახული სამუშაოების გეგმა შესაბამისი ეტაპებით. ამ ეტაპზე თქვენს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე სამსახური მოკლებულია კორექტირებაზე სრულფასოვნად მსჯელობის შესაძლებლობას. ასევე, თქვენს მიერ განმარტებულია, რომ "ავარიული ფერმების ქვეშ მდებარე საცეკვავო დარბაზის ჭერი მძიმე ავარიულ მდგომარეობაშია. სასწრაფო გადაუდებელი ღონისძიებების ჩატარების გარეშე ძეგლის ამ ნაწილს ჩამონგრევა ემუქრება ... გადახურვის ფერმების დროებით გამაგრებამდე ადამიანის სიცოცხლისთვის სახიფათოა ამ დარბაზში რაიმე სამუშაოების განხორციელება. დარბაზის რესტავრაციის პროექტისთვის მოსამზადებელი სამუშაოების განხორციელება ამ ეტაპზე შეუძლებელია სწორედ ამის გამო."

აღნიშნულთან დაკავშირებით განგიმარტავთ, რომ "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის 51-ე მუხლის 1-ელი პუნქტის თანახმად, თუ ბუნებრივი და გარემო ფაქტორების ან დაუძლეველი ძალის მოქმედების შედეგად ძეგლს ან არქეოლოგიურ ობიექტს ემუქრება შეუქცევადი დაზიანება ან განადგურება და ამის გამო არსებობს მასზე არქეოლოგიური ან კვლევითი სამუშაოების ან პრევენციული კონსერვაციის ჩატარების გადაუდებელი აუცილებლობა და სრული საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა ვერ ესწრება, შესაბამისი ნებართვის გაცემა შესაძლებელია არასრული საპროექტო დოკუმენტაციის საფუძველზე. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში შესაძლებელია მხოლოდ არქეოლოგიური ან კვლევითი სამუშაოების ან პრევენციული კონსერვაციის ჩატარება. ამ შემთხვევაში სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაცია უნდა შედგებოდეს შემდეგი ნაწილებისაგან:

ა) განმარტებითი ბარათი. განმარტებით ბარათში უნდა მიეთითოს: ძეგლის ან არქეოლოგიური ობიექტის (მოძრავი ძეგლის შემთხვევაში – მისი ძირითადი შენახვის ადგილის) ზუსტი დასახელება, არქეოლოგიური ობიექტის ზუსტი დასახელების არარსებობის შემთხვევაში – მისი ადგილმდებარეობის დასახელება და ზუსტი მისამართი.
განმარტებით ბარათში დასაბუთებული უნდა იყოს:
ა.ა) სამუშაოების ჩატარების გადაუდებელი აუცილებლობა და არსებულ პირობებში სრული საპროექტო

დოკუმენტაციის შედგენის შეუძლებლობა;
ა.ბ) ჩატარებული სამუშაოს ტიპი, სახეობა და მოცულობა, გამოსაყენებელი ტექნოლოგიები და მეთოდოლოგია და მათი შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებთან;
ა.გ) პრევენციული კონსერვაციის შემთხვევაში – ასევე პრევენციული კონსერვაციის ეფექტიანობის სავარაუდო ხანგრძლივობა, შემდგომ ღონისძიებათა სახეობები და მათი განხორციელების სავარაუდო ვადები;
ბ) ობიექტისა და მისი დაზიანებების ამსახველი დეტალური ფოტომასალა;
გ) უძრავი ობიექტის შემთხვევაში – შესასწავლი ტერიტორიის ადგილმდებარეობის სიტუაციური გეგმა შესაბამისი მასშტაბით, ზუსტი კოორდინატებით;
დ) არქეოლოგიური სამუშაოების შემთხვევაში – ასევე ჩასატარებელი სამუშაოების შედეგად გამოვლენილი არქეოლოგიური ობიექტებისა და მასალის კონსერვაციისა და რეკულტივაციის, შესაბამის საცავებში შემდგომი დაბინავებისა და შენახვის პირობების უზრუნველყოფა;
ე) სამუშაოების ჩატარების კალენდარული გრაფიკი (არქეოლოგიური ობიექტის შემთხვევაში – სექტორებისა და შესაბამისი სამუშაოების თანმიმდევრობის ჩვენებით);
ვ) დასკვნა სამუშაოების ჩატარების მოსალოდნელი შედეგების შესახებ.

აქვე გაცნობებთ, რომ უძრავ ძეგლზე პრევენციული კონსერვაციის ნებართვის მიღების მიზნით განაცხადი და საპროექტო დოკუმენტაციის 3 ეგზემპლარი საჭიროა შემოიტანოთ ქ. თბილისის მერიის კანცელარიის საშუალებით.

რაც შეეხება უძრავ ძეგლზე სარეაბილიტაციო სამუშაოების კორექტირებული პროექტის შეთანხმებას და უძრავ ძეგლზე ნებართვის გაცემას, შესათანხმებლად წარმოდგენილი უნდა იქნეს საბჭოს რეკომენდაციის გათვალისწინებით შესრულებული სრულყოფილი საპროექტო დოკუმენტაცია. წარმოდგენილი უდნა იქნეს კორექტირებული არქიტექტურული ნაწილი, მათ შორის განმარტებითი ბარათი, რომელშიც განმარტებული იქნეს, ვის კუთვნილ ფართში არის გათვალისწინებული კორექტირებული კონსტრუქციული ნაწილით განსაზღვრული სამუშაოები, არქიტექტურულ ნახაზებში გრაფიკულად უნდა იქნეს გამოყოფილი საკუთრებაში რეგისტრირებული შესაბამისი ფართები შესაბამისი საკადასტრო კოდების მითითებით. მშენებლობის ორგანიზების პროექტი დამუშავებული უნდა იყოს სრული პროექტით გათვალისწინებული სამუშაოებისთვის, საჭიროების შემთვევაში წარმოსადგენია კონსტრუქციული პროექტის კორექტირებული ვარიანტი, შესაბამისი კონსტრუქციული დასკვნით ერთიანი პროექტით გათვალისწინებულ სამუშაოებთან დაკავშირებით;
ამასთან, წარმოდგენილ საპროექტო დოკუმენტაციაში გამოვლინდა შემდეგი ხარვეზები:

1. "დამკვეთის ინფორმაციაში" შევსებული იქნეს ორგანიზაციის გრაფები;
2. წარმოდგენილი უნდა იქნეს ამხანაგობის კრების ოქმი (შესაბამისი ფორმით დამოწმებული) წევრთა 100%-ის თანხმობით განსახორციელებელ სამუშაოებთან დაკავშირებით.
3. შეთანხმებული პროექტის კორექტირებასთან დაკავშირებით, საჭიროა შეთანხმებული პროექტის ავტორის და ააიპ "თბილისის განვითარების ფონდის" თანხმობის წარმოდგენა.

გაცნობებთ, რომ ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში ხარვეზების გამოუსწორებლობის შემთხვევაში, განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი

თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7

ტელ. [+995 32] 272 22 22
ფაქს. [+995 32] 237 82 24
Info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge